


გაზეთის ფასი

	მაგზავნი:	მაგზავნი:
ქრთის წლისა	— 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა	— 3 " "	2 " 50
სამის თვისა	— 1 " 75	1 " 50
ქრთის თვისა	— " 60	" 50
საღვ. ნომრისა	— " 12	" 10



დროშოებს

ქართული
ხელისმძღველნი

მიიღება თფილისში: «დროშის»
რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ
მირიანაშვილის სახლში.
ქუთაისში: ბერასიმე ქალაქი და
რაჭის გიორგი (სასულიერო სასწავლებელ-
ში) და სვ. მესხიანი.
ბარეში მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა
გამოგზავნონ მოთხოვნები:
Въ Тифлисъ. Въ контору редакціи
газеты «ДРОШЪ».

ბაშაღის კვირაში ერთხელ, პარასკევით.

განცხადებანი, «დროშაში»
დასაბუქლო, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი
განცხადებისა ჩვეულებრივის ასობით, სტრიქონ-
ზე 4 კაპ. და ასო-მოთვრულებით — ასოზე 1/4 კაპ.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მარამ

შინაარსი

საკართველო: რას შევგატებს აქცი-
ზი? — წერილი ამბები. — რუსეთი: წერილი ამ-
ბები. — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი, —
ინგლისი, — ბერმანია, — ავსტრია. — ვენის გამო-
ფენა («დროშის» კორრესპ.). — ნარევი.
შელოტიკი: რისთვის ვხსობთ? — ნ.
სკანდელიანი.

სამართლებლო

რას ვგვგებამს ამიერი?

ამ წლის პირველი ივლისიდან, მმართველობის
განკარგულებით, ჩვენს მხარეშია შე-
მოიღება ის წესი, რომელიც რუსეთის სხვა
და სხვა გუბერნიებში 1861 წლიდან არის
შემოღებული; ჩვენ ვამბობთ თამბაქოსა და
არაყზე ახალი აქციზის სისტემის შემოღებ-
ბაზე.

შეველათვის ცხადია, რომ ეს ახალი გადა-
სახადის სისტემა ანუ აქციზი თამბაქოს და
აგრეთვე არყის ფასსა თითქმის ერთი-ორად
ასწევს ჩვენს მხარეში. ეს გარემოება ყოვე-
ლი ჭკუა-მოძრავი კაცის თავში სხვა და
სხვა მოსაზრებებს უნდა აღძრავდეს. ამ მო-

ფელტონი

რისთვის ვხსობთ?

საკვირველი ქმნილება კაცის გული და
გრძნობა: რაგინდ გულდაწყვეტილი და გა-
ბრაზებული იყოს კაცი ძვირფას და საყვარ-
ელ ქმნილებაზე, რაგინდ დარწმუნებით
დაკარგული ჰქონდეს იმედი მის მომავალზე
და გონიერებაზე, დაინახავს თუ არა იმას გა-
ჭირებულ ან ძნელ მდგომარეობაში, მაშინ-
ვე თავის ბრახს და სამღურავს იფიქრებს, მის
ტუტუცობას აღარ იხსენებს, მის სიბრძავეს
და უხეირობას აბატივებს და ხელახლავს გულ-
მხურვალეთ, დაუზოგველათ მის დახმარებას
ცდილობს, რჩევას აძლევს, არიგებს, ეხვე-
წება და ეხმარება. მის აღფრთხილებულ გრძნო-
ბას და გაფხიზლებულ გონებას მაშინ არც კი
ახსენდება, რომ ეს საყვარელი ქმნილება,
თავის დაბრძანების ან უხეირობის გამო.
ერაც იმის რჩევის ასრულებას მოახერ-
ხებს, არც მის დახმარების გამოყენებას მო-
ინდობს. მაშინვე რამე ხეირი მის დახმარე-
ბისგან, თუ არა — ამას ის როდი ეძებს, როდი
კითხულობს. ის მაინც თავის გულის-თქმას
აცხადებს, თავის ღონეს ხმარობს, ძლიერ კარ-
გათაც რომ იცოდეს, რომ ერთი-ორი კვი-
რის შემდეგ მისი საყვარელი ქმნილება უწინ-

კლე სტატიაში ორიოდ სიტყვას ვეტყვი
ჩვენ მკითხველს იმ მოსაზრებაზე, რომელიც
ამ ახალმა კანონმა აღძრა ჩვენში.

ჩვენს ლიტერატურაში ათასჯერ თქმუ-
ლა და დამტკიცებულია, რომ ჩვენი ქვეყანა,
დასაზოგადლოთ ძაგასია, ყოველდღე მდიდარი და
ბუნებისაგან უხვად დასაჩუქრებული ქვეყა-
ნა არის. ეს აზრი, არა თუ მარტო ლიტე-
რატურაში, ხალხშიაც გავრცელებულია.
აგრეთვე დამტკიცებული და გავრცელებუ-
ლია ის აზრი, რომ ჩვენი ხალხი, სხვა და
სხვა ბევრგვარი მიზეზებისა გამო, ამ ბუნე-
ბის სიმდიდრით ვერ სარგებლობს ისე, რო-
გორც შეიძლება და როგორც რიგია. აქე-
დამ წარმოსდგება ის ჩვენი ეკონომიური
და სხვა ყოველმხრივი სიღარიბე და სიძა-
ბუნე, რომელსაც ჩვენ მუდამდღე უჩივით
და რომლის მოსასაბოგლოდ თითქმის სრუ-
ლიადაც არ ვანძრევთ ხელებს და თუ ხან-
დისხინ ვანძრევთ, საშინლად ზანტად.

სხვა ათას წარმოდებებს, რომლის დაწყება
ჩვენში შეიძლება, რომ თავი დაეანებოთ
და დაეადგეთ იმ საგანს, რომელზედაც ჩვენ
დღეს დავიწყეთ ლაპარაკი, შემდეგი სურათი
წარმოგვიდგება: ჩვენ დავინახავთ, რომ მა-
სალები (უმთავრესად პური), რომლისაგან
არაყი კეთდება, ჩვენ ბლომათა გვაქვს. თამ-
ბაქოს შესახებ მცოდნე პირებისაგან გავი-

გონია, რომ ჩვენში, განსაკუთრებით იმე-
რეთში, თამბაქოს მოვლა რომ იცოდნენო,
ისეთი თამბაქო მოვლა, რომ თითქმის საუ-
კეთესო მსმალეთის თამბაქოს არ ჩამორ-
ჩება უკან თავის ღირსებითაო. მაგრამ, და-
ხედეთ ჩვენს უთაბას: ამ ქაშად ჩვენში
იმის მაგივრად, რომ სამზღვარ გარეთ და
რუსეთში გასაზიდავი არაყი და თამბაქო მო-
ვიდოდეს, იმდენი არ მოგვდის, რომ თეი-
თონ ჩვენ გვეყოფილდეს, — და რაც მოგვდის,
ისიც იმნაირი თვისებისაა, რომ ჩვენი თამ-
ბაქოს მოწვევა და არაყის სმა მარტო რუსის
საღდათებს შეუძლია.

რასაკვირველია, ამ ორი საგნის წარმოე-
ბისათვის ჩვენ ხალხს დიდი ხანია ყურადღე-
ბა უნდა მიექცია, რადგან, თუ თავიანთ
წაიყვანს კაცი, თამბაქოსთან და არყისთან
დამაჯილდოებელი წარმოება ბევრი არ მო-
იპოვება. მაგრამ, დღემდე თუ არ მიგვიქცე-
ვია ყურადღება, დღეს, როდესაც, როგორც
ზევით ვთქვით, ამ ორ საგანს ფასი ერთი-
ორად ემატება, მაინც უნდა მივაქციოთ ჯე-
როვანი ყურადღება და ვეცადოთ, რაც შე-
იძლება მომეტებულის სარგებლობით გამო-
ვიყენოთ ჩვენი მიწები და სრულებით უფა-
სური ტყის მსხალი და ვაშლი, რომელთა-
გან არყის გამოხდა არც ძვირათ დაჯდება
და არც ბევრ შრომას მოითხოვს.

როგორც ყოველთვის, როდესაც რომე-
ლიმე ახალი წარმოება გამოჩნდება, ეხლაც,
რასაკვირველია, ფულიანი კაცები გამოჩნ-
დებიან, რომელნიც ეცდებიან, რომ ამ საგ-
ნებით ეპყრობა და სარგებლობა თვითონ
ჩაიგდონ ხელში. ეს მოხდება განსაკუთრე-
ბით არყის წარმოების თაობაზე, რადგან ამ
სასმელის საკეთებელად საქირო იქნება ფაბ-
რიკა, რომელიც კარგა ძალ ფულს თხოუ-
ლობს. მაგრამ ამ თავით ჩვენ რომ მხო-
ლოდ მასალების გასაღება მოვახერხოთ
ამ ფაბრიკებისათვის, უქველია, ესეც რი-
გთან სარგებლობას მოგვითქვას. თამბა-
ქოს მოყვანას კი მაგდენი არა უნდა რა
საქიროა მხოლოდ შესაფერი მიწა და კარ-
გი თესლები რომელსაც, ჩვენი მიწურეობის
საზოგადოება რომ თავიანი იყოს, იმის
საშუალებით დაიბარებდა სხვა ქვეყნებიდან
კაცი, — მაგრამ ეს თუ არ იქნა, უიმისოთაც
შეიძლება ამ საქმის მოხერხება.

ამნაირათ, ერთჯერ კიდევ ვიმეორებთ,
რომ, თუ ჩვენ არ ვავანძრევთ ტენი და
არ მოვიკიდებთ ხელი ამ ორ წარმოებას, რო-
მელსაც, აქციზის სისტემის შემოღების გამო,
კარგი ფასი დაედება, მაშინ განდებთან უცხო
ქვეყნის კაპიტალისტები, რომელნიც თავის
კერძო სარგებლობისათვის, დაალარბებენ
ჩვენ მიწას, დაალარბებენ ჩვენს ხალხსა...
ს. მ.

დელურათ უხეიროთ მოიქცევა და უწინდელ
სისულელეს გაიმეორებს...

სწორეთ ამნაირი საკვირველი გრძნობით
იგება ჩემი გული, როცა მე მამულში ფეხის
შემოდგომის შემდეგ, დაბებული ცხოვრე-
ბის ომივარი მეცემა და ჩვენი უბედური
განხეთქილების და მფოთის კიჟინა და ეი-
ვაგლახი მესმის. და რაც უფრო დამაღონე-
ბელია ეს ომივარი და ეი-ვაგლახი, მით
უფრო და უფრო ხელი მექაეება, გული მი-
ძვრს, ტენი მიდღუს და ის ძვირფასი ძა-
ლა მენატრება, რომელსაც ამ ომივარის
დაფანტვა, ამ ეი-ვაგლახის მოსაბოა შეე-
ძლოა. მაგრამ სადაა ეს ძალი!

აი, მაგალითად, დღეს ჩვენში ყველაზე
უფრო ხმამაღლა აზნაურობის კრების ეი-
ვაგლახი და კიჟინა ისმის. შორიდან ამ საქმეს
რომ კაცმა ყურადღება ათხოვოს, ეგონება
ცხოვრება სდულსო, საქმე მზადდება, სასარ-
გებლო ბრძოლა გამართულია. მაგრამ
დააკვირდით ამ კიჟინას, ამ საქმეს, მიუხე-
ლოდით, და ნახავთ ისეთ სანახავს, რომ
ღმერთმა შეინახოს. მიქვენ დაინახეთ პიროვან
ჯიბრს და ქიშპობას, საერო საქმის მაგიერ
ხელში შეგვრჩებათ უბრალო, წერილმანი,
კერძო სარგებლობის ძებნა, და სასარგებლო

ბრძოლის მაგიერ გავაშტერებს, გაგაბრაზებს
უმინზო, თითქმის უმიზნო და სრულიად
უნაყოფო მფოთი, ხრალი და ერთმანე-
თის თავპირ-ლეწვა. და როცა ამ სამწუხა-
რო სანახავის პირველი შთაბეჭდილება იხო-
ცება, კაცი დაღონებული გულით ჰკითხუ-
ლობს: რისთვის ან ვისთვის, რა აზრით და
რა ხეირისთვის იღუბება ამდენი ძალი, იღვევა
ამდენი გესლი და იკარგება ამდენი დრო
ამისთანა უნაყოფო და უმეცარ განხეთქი-
ლებაში!

მართლაც, ვთქვათ, რას აკვდება ქუთაი-
სის საზოგადოება, რის გულისთვის ერთმა-
ნეთს სახელს უტყვენ და სიცოცხლეს უმი-
წარებენ მისი წვერები, რათ იბრძვიან, რას
ელიან, ან რა უნდათ? ხელს მოვიტყვი, თუ
ამის პასუხს ვინმე მომცემს. იქ პარტიებიც
საქმათ გახლავს, წინმძღომლებიც, მეომ-
რებიც. მაშწარებულათ ებრძვიან ისინი ერთ-
მანეთს აგრ თუთხმეტი წელიწადია, და
შორს მოისმის მათი ბრძოლის ტყაპა-ტყუპი,
კიჟინა და კივილი. დაუზოგველათ, მოუს-
ვენრათ, დაუფიწყარათ სდგება ძმა ძმაზე და
მეგობარი მეგობარს ყელს სჭრის — პარტიის
სასარგებლოთ, საქმის მოსაგებათ. მაგრამ
ამ ძვირფასი ძალის ხმარებას, თავგამომე-
ტებულ ერთგულობას და ბრძოლას სწო-
რეთ ისე მნიშვნელობა და ხასიათი აქვს,

როგორც დღესასწაულ დღეს ბურთის თა-
მაშ. ჩვენი საზოგადოება, მეტურთავეების არ
იყოს, არაფერს ზოგავს, არაყის ერიდება,
არას იხსენებს, ოღონდ ბურთი კი თავისა-
კენ გაიტანოს, ბრძოლაში გაიმარჯვოს, სა-
ხელი დაიმსახუროს. ის დაუზოგველათ თავს
კეტით უტყვის მოწინააღმდეგეს, თუნდ ეს
მოწინააღმდეგე მისი მკვიდრი ძმა იყოს, ის
შეუბრალებლათ ფეხით სრესს მტერს, —
თუნდ ეს «მტერი» მისი გულითადი მეგო-
ბარი და ძმა კაცი იყოს, — და ათასი ამის-
თანა დაუზოგველი, შეუბრალებელი, უან-
გარიშო სხვერპლის და ეი-ვაგლახის შემ-
დეგ. საქმე იმით თავდება, რომ იმას თავ-
პირი დასისხლიანებია, ტანსაცმელი შემოწ-
რეტია, ხელ-ფეხი დაუქვევია, და ხელში და-
გლეჯილი, დასრესილი, გატალახიანებული
ბურთი შერჩენია, რომელიც ბურთათაც
აღარ გამოდგება, ამიტომ რომ ბრძოლის
სიცხარეში ის მეგრძოლებს გაუწეწიათ და
ერთ კუწნა დაპაღალ მატყლათ და ხასიათ
გადაუქცევიათ.

ხუმრობა გაშვებით, სწორეთ ამგვარია ქუ-
თაისის აზნაურობისა და საზოგადოების საქ-
ციელი, კენჭის ყრის დროს. მარშლობა,
ამორჩევა სწორეთ ის ბურთია, რომლის
გულისთვის თავპირს იმტერვენ და ისინ-



შუთაისიდან მოგვივდა ამბავი, რომ იმერეთის თავად-აზნაურების შეუკრებლობის მიზეზის არის, რომ კენჭის პატრონებს თავის დროზე მოწმობა ვერ მიუღიათ, რომ იმათ კენჭის ყრაში მონაწილეობის უფლება აქეთა-ამასთანავე ამბობენ, რომ წელს იმის ნახევარსაც არ ექნებათ კენჭი, რამდენსაც აღრე ჰქონდათ.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ მიცვალებულის თ. ალექ. წერეთლის მემკვიდრეებს შუა რაღაც უთანხმოება ატეხილა. ამ ამბავს იმიტომ ვაცნობებთ ჩვენ მკითხველებს, რომ ამ მიცვალებულის სამკვიდრებელს, სხვათა შორის, მდიდრი ქართული ხელნაწერების ბილიოთეკა შეადგენდა, რომელიც ჩვენს გაზეთში არაერთხელ ყოფილა მოხსენებული. ჩვენთვის სრულიად საინტერესო არ არის, ვის დაჩნდა ამ მიცვალებულის მემკვიდრეობა; მაგრამ ვისაც უნდა დარჩეს, სრული იმედი გვაქვს, რომ ეს მემკვიდრე სარდაფებში და ზანღუკებში არ დამალავს ძველ ქართულ წიგნებს და არ დააღობს იმათ.

ამბობენ, რომ თფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე, უფ. აგალინი იმერეთში წასულა იქაური სასამართლოების დასახედავად (რევიზიისათვის). როგორც ისმის, შოთში იმას განსაკუთრებული ყურადღება ინგლისელის სუინსონის მკვლელობის საქმისათვის მიუქცევია.

ჩვენ გავიგონეთ, რომ აქაურს კლასიკურს გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებელი უფ. პ. შიშკაშვილი ბეჭდავს თ. ბრ. მრბელიანის ლექსების კრებას და ეს წიგნი ამ მოკლე ხანში გამოვა.

შუთაისიდან გვწერენ, რომ უფ. ბეს. ლობჯინიძეს ჩამოუტანია პეტერბურლიდან ახალი პროექტი შუთაისის გუბერნიის სათავდაზნაურო ბანკისა. როგორც ისმის, ეს პროექტი ისეთს საფუძველზეა დამყარებული, რომ ამ საქმეზე მოლაპარაკების დროს შუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან, უეჭველია, სრულს ყურადღებას

ხლიანებენ ჩვენი კენჭის-მყრელები. მართალია, თამაში, სერი, ბურთაობა კარგი რამ არის, მაგრამ ეს თამაში, თუ ღმერთი გწამთ, საქმით როდის ჩაუთვლია ვისმეს? ეს კარგი ჩინებული სერია, მაგრამ წელიწადში ერთხელ-ორჯერ. მათვედგება თუ არა თამაში, მოთამაშეები ისევე თავთავის საქმეებს უბრუნდებიან და უწინდელურათ ერთმანეთს ძმურათ ექცევიან, მხიარულათ ეკიდებიან. აზნაურობა კი ამას რატომ არ შერება? თუ იმას მარშლის ამორჩევა ხუმრობათ, სერიათ მიანი, შემდეგში, დანარჩენ დროს ის საქმეს ხელს რატომ არ ჰკიდებს, რატომ არ ერთდება, არ შრომობს, არ გონიერდება! მანა ნიადგ თამაში და სერი ბაღლებს მესტ ვისმე შეეფერება?

თამაში კარგი რამეა, თავის გართვაც, სერიც, მაგრამ გონიერ კაცს როდი უნდა ერჩიოს სერიისა და თამაშის სდევა იმ დროს, როცა შინ ვაჭირვება ჩასდგამია და მეზობლისას ტირილია. მტერისა და მოწინააღმდეგის გულ-გასახარებელი საქციელი გონიერ კაცს არ შეეფერება, და მთელ საზოგადოებას ხომ სრულიად არ მიეტოვება. ეს ჩვენ უნდა გავიგოთ. რა გასაკვირი გვადგია, ვითომ, რომ მაინცა და მაინც გულგრილათ, უღარდელათ ჩვენს თავს ოროდევ პატივისმეძიებელი კაცის სათამაშოთ ვაქცევთ, მათ

დაიმსახურებს. * * * ამბობენ, შოთში ყვეაილის ავათყოფობა (პატრონები) არის ძალიან გავრცელებული.

კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველი აცხადებს, რომ წელს შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში იქნება კავკასიელებისათვის ვაკანსიები: მოსკოვის უნივერსიტეტში-11, მდესის უნივერსიტეტში-9 ისტორიკო-ფილოლოგიურ ინსტიტუტში-5, პეტროვის სამეურნეო აკადემიაში-2, ძანსტანტინეს სამეცნიერო ინსტიტუტში-4, ლაზარევის ინსტიტუტში-3; მოსკოვის ტექნიკურ სასწავლებელში-2, შმანის სამეურნეო შკოლაში-1.

მაზ. „ძვეკახის“ მე-48 ნომერში დაბეჭდილია ახალი კამერალიური აღწერილობის წესი.

ჩვენებურ ახალგაზდებს, რომეონიც სამზღვარ გარეთ სწავლობენ, კიდევ ერთი ქალი მიემართა: ამ დღეებში თფილისიდან ბარბარე ძრიქანოვსკისა წავიდა.

რუსეთი

მოსკოვისა და პეტერბურლის გაზეთებში დაწერალებით აწერილია—თუ რა ამბით და ცერემონიით დახედენიან სპარსეთის შაჰს ამ ქალაქებში. მოსკოვში სპარსეთის შაჰი მისის მას მისულა და ორი დღე დაუყვია. იმას დაუხედავს ყველაფერი, რაც კი შესანიშნავი იყო იქ და საღამოთი თეატრში (ბალეტში) დაიარბოდა. პეტერბურლში 11 მისის მისულა; რკინის გზაზე ხელმწიფე იმპერატორი დიდი ამალით დახვდომია და იქიდან მოყოლებული მთელი წეის პროსპექტი ხალხით გატენილი იყო თურმე. პეტერბურლში სპარსეთის შაჰი ექვს დღეს დარჩა, დღე-ღამეობით ის ათეაღიერებდა რაც რამ შესანიშნავი იყო, ჯარები დახედა, და საღამოობით თეატრში მიდიოდა და ამბობენ, ბალეტს აღტაცებაში მოჰყავდაო. პეტერ-

ბურლიდან შაჰი ბერლინს მიდის და იქიდან პეტროვის უმთავრეს სახელმწიფოებს დაივლის.

გულისთვის ეიტანჯებით, თავს ეიმტრევეთ მათი ამაღლებისთვის!... ჩინებული, პატიოსანი და აუცილებლათ სტირო საქმეა იმისთანა კაცის, იმგვარი წინამძღოლის ერთგულება და დახმარება, რომელსაც მიზნათ, საქმით ჩვენი საკუთარი საქმე და ჩვენი საკუთარი, საზოგადო მიზანი აქვს. მაგრამ უმიზნო, უსაქმო კაცის ერთგულება მსლბლების, მოსამსახურეების, ნაქირავების საქმეა, საზოგადოებისმხრით კი ეს ნამდვილ სიძაბუნე და სიგლახავე გახლავს. საქმე რომ კარზე არ გვადგეს, საზოგადო მიზანი საქირა და თვალ-მოსაკრავი არ იყოს, კიდევ ჰო. მაგრამ ჩვენ ხომ ამ მდგომარეობაში არა ვართ. ჩვენ საზოგადოებას დღეს ბევრი რამ აქვს საზრუნველი, გასარჩებელი, გასაწყობელი. ღროა უხვირო პარტიების განყოფილება, განაწილება მოიშალოს, რომ მის მაგიერ უფრო გამოსადგვათ და გონიერათ გაიყოს ჩვენი საზოგადოების ძალი. მსლანდელი პიროვნული, კერძობრივი განხეთქილების მაგიერ, რომელსაც მიზნათ მარტო და მხოლოდ უმიზნო პატივისმეძიებლების ამაღლება და სარგებლობა აქვს, უნდა დაარსდეს სხვა ნაირი პარტობა, სხვა გვარი განაწილება და ბრძოლა, დაუქონებულ საზოგადო ხეობზე, საზოგადო მიზნის და სარგებლობის ძებნაზე. მისაც ჩვენი ქვე-

ბურლიდან შაჰი ბერლინს მიდის და იქიდან პეტროვის უმთავრეს სახელმწიფოებს დაივლის.

ამას წინათ რომ მოსკოვში პოლიტენიკური გამოფენა იყო, სხვათა შორის, ამ დროს სახალხო თეატრიც გამართეს და რადგანაც ამ თეატრში ბევრი უბრალო, მუშა ხალხი დაიარბოდა, გამოფენის მოთავეებმა სთხოვეს მმართველობას, რომ ეს თეატრი სამუდამოთ დაჩინილიყო; მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, მმართველობამ ვერ აასრულა ეს თხოვნა. მსლა იწერებინან, რომ მას შემდეგ ბევრს სხვებსაც უთხოვნიათ მთავრობისთვის, რომ ცალკე სახალხო თეატრის გამართვის ნება მიეცეს; მაგრამ მომეტებული ნაწილის მთხოვნელებისათვის მთავრობას უარი უთქვამს, როგორც ამბობენ, იმ მიზეზით, რომ სანდო პირები არა ხართ, და ესლა ორი ისეთი პირისთვის მიუცია სახალხო თეატრის გამართვის უფლება, რომელნიც თეატრის საქმეებში თუმცა ცოტათი არიან გამოცდილი, მაგრამ მის ნაცვლათ ჩინოვნიკები და მასასადამე სანდო პირები არიან...

პეტერბურლის ერთს უბანში, სადაც უფრო მომეტებული ფაბრიკებია და სადაც მასასადამე ბევრი მუშა-ხალხიც ცხოვრებს, იქაურს ტერნიკურ საზოგადოებას ამ მუშებისთვის (კაცებისთვის და ქალებისთვისაც) ცალკე შკოლა გაუმართავს და საღამოობით, 8 საათიდან 11-მდე, წერა-კითხვას, სხვა და სხვა საგნებსა და ხელობას ასწავლიან. მისის მას ამ შკოლაში ეგზამენები ყოფილა და, როგორც ერთს რუსულს გაზეთში სწერენ, მაგირდებს დიდი სწავლის ხალისი და ცოდნა აღმოუჩინიათ. ამბობენ, რომ პეტერბურლის საზოგადოება ამგვარ შკოლებს დიდ შემწეობას აძლევს ფულებით და სხვა ღონის-ძიებითაცო.

მკითხველმა იცის, რომ პეტერბურლში დიდი ხანია არის ღარიბი ლიტერატორებისა და სწავლულების დამხმარებელი საზოგადოება, რომლის დანიშნულება თვით ამ სახელადამა სჩანს: ამ საზოგადოების წევრებათ

ნის ბედნიერება და სიკეთე სურს, ვისაც ძვირფასათ მიანი მისი ბედი და მომავალი, იმისთვის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს ისეთი პარტიების დაარსება, რომელთაც მიზნათ პეტრესი და პავლეს გაბატონება კი არა, მთელი საზოგადოების დახმარება და შევლა ჰქონდეთ, მხედველობაში და რომელიც ჩვენი ქვეყნის შეილებსგან, ჩვენი მამულის მსახურებისგან შემდგარი უნდა იყვნენ: მსაა დღეს ჩვენი საზოგადოების მოვალეობა. და ამ საზოგადოების დასაფასებელ ზომათ მარტო ის გამოდგება, თუ რამდენათ მაღალ მიზანს, გონიერ მიმართულებას მიითვისებენ ჩვენი პარტიები, რომ მიზნის სიმძირე და უხვირობა საზოგადოების უჯრეობას და დაცემას აღარ ნიშნავდეს.

რა კარგი იქნებოდა, ჩვენ საზოგადოებას ის სწავლა გაცნობილი რომ ჰქონდეს და ახსოვდეს, რომელიც მის სარწმუნოების საფუძველს შეადგენს; რა ღრმა აზრია, მაგალითად, იმ დარბევაში, რომელიც მაცხოვარმა გამოთქვა—რომ „ახალ ღვინოს ახალი ჭურჭელი სჭირიაო!“. ამ ჩვენ დროს, ამ ჩვენ ახალ საქირეებებს ახალი ჭურჭლები, ახალი მსახურები შეეფერება! და ჩვენმა საზოგადოებამ ეს არ უნდა დაივიწყოს. თუ იმას თავისი სიკეთე უნდა, თუ იმას თავისი საკუთარი და თავისი შეილების ბედი ცოტა-

მომეტებული ნაწილი ლიტერატორებისა და ზოგი განათლებას მოწყობისათვის; მსხვერპლში გამოცხადებულია ამ საზოგადოების ერთი თვის ანგარიში, რომლიდამაც სჩანს, რომ 1 აპრილს საზოგადოების კასაში 59,286 მან. და 44 კაპ. ყოფილა.

უსხო ქვეყნები

საზრახმითი

წასულ „დროების“ ნომერში მოკლე ტელეგრაფიული ცნობა იყო მოყვანილი, რომ, რაღაც უთანხმოების გამოიხდებოდა, ტიერს პრეზიდენტობისაგან განთავისუფლების თხოვნა შეუტანდა ნაციონალურ კრებაში და მის მაგივრად პრეზიდენტი მარშალი მაკ-მაჰონი ამოიჩნია საფრანგეთის პრეზიდენტათაო. დღეს, ოთხშაბათს, ჩვენ რომ ამ სტრიქონებსა ვსწერთ, ჯერ კიდევ არც პეტერბურლიდან და არც სანზღვარ გარეთიდან არ მოუწვია აქ იმ გაზეთებს, რომლებშიც აწერილი უნდა იყოს, თუ განსაკუთრებით რა ყოფილა ამ გარემოების მიზეზი. მაგრამ გაზეთს „ძვეკახში“, დაბეჭდილია მგორე დეპეშა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ამ შეტყებებაში მარჯვენა მხრის წევრები ყოფილან მოთავენი და იმარევე გაუმარჯვნიათ. ამ ტელეგრამაში მოყვანილია ახალი სამინისტროს სია, რომლიდამაც სჩანს, რომ საფრანგეთის ბედი ამჟამად ისევ მრდენის, ბონაპარტის და ბურბონის მომხრეებს ჩავარდნიათ ხელში. მოგვყავს ამ ახალი სამინისტროს სია: ბროკლი—გარეშე საქმეების მინისტრი, ბელ—შინგანი საქმეების, მრუ-იუსტიციის, მალ-ფინანსის, ღამპფერ-ზღვის, სასის (?)—სამხედრო საქმეებისა, დესელინი—საზოგადო მუშაობისა, ლაბუ-ლიერი—ვაჭრობისა.

თუმცა ამასთანავე ტელეგრამა გვაცნობებს, რომ პარიჟში და საზოგადოთ „საფრანგეთში მშვიდობიანობა არისო“, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ამგვარი მშვიდობიანობა დიდხანს ვერ გასდლებს. შესანიშნავიაო, ამბობს ბელგიური გაზეთი („ბელგიის დამოუკიდებლობა“), რომ რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, საფრანგეთის ხალხი თითქმის მუდამდღე თ-ნ-და-თან უფრო მომე-

ოდნათ მიინც აფიქრებს, იმან უნდა გაიხსენოს, რომ ის პირები, რომლის ასამაღლებლათ და გასაბედნიერებლათ ის აქამდი თავს იკლავდა, მარტო თავიანთ საკუთარ, კერძო სარგებლობაზე ზრუნავდენ, მარტო თავიანთ სიკეთეს ეძებდენ და საზოგადოებას მარტო მაშინ იხსენებდენ, ექალაჩუნებოდენ და თავს უკრავდენ, როცა მისი კენჭი სჭირდათ და მისი დახმარება ეჭვირებოდათ. ამ უნიკო, უმიზნო, უმეცარ და უფულისძილო პირებს აღარ უნდა მიეცეს გავლენა ჩვენ საზოგადო საქმეებში. იმათ ხალხისა და საზოგადოების ხარჯზე, საზოგადოების ხელეებით და დახმარებით, თავიანთი საკუთარი ბედი შეიღვინეს, და საზოგადოების პატიოსნობის მაგიერ თავიანთ კერძო სარგებში შეიბუნდენ. დატოვოთ ისინი იმ სოროებში და სხვაგან, სხვა გზას, სხვა მსახურებს მიუადგეთ. მეძიოთ მცოდნე, პატიოსანი, თავადებული პირები, რომელთაც ჩვენ ვაჭირვებულის მდგომარეობაში ჩვენი პატრონობა შეეძლოს, და მიზნათ საკუთარი ამაღლება, საკუთარი სარგებლობა კი არა, საზოგადო სიკეთე და ბედი ჰქონდეთ. ღროა ამ გონიერ გზას დაეადგეთ, ღროა ძველი შეტოვებები და უხვირობა დაეინახოთ, რომ შემდეგში უწინდელით უპატრონო და ბრმა ჯოგს აღარ ვგავდეთ.

ბ. სკანდლი

22 მისს 1873

თფილისი.